ლადო ასათიანის ფუნაგორიები

კოჭლოშვილი ნინო
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://doi.org/10.52340/tuw.2023.01.36.20

აბსტრაქტი: *ამა თუ იმ მწერლის სულიერი სამყაროს ნაცნობი თუ უცნობი მხარეები საინტერესოდ აშკარავდება დოკუმენტური ჟანრის სხვადასხვა ტიპის ნაწერებში. განსაკუთრებულ ინტერესს ამ თვალსაზრისით „მარგინალურ მასალად" წოდებული ჩანაწერები იწვევს, რომლებიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე ავლენს მწერლის შეხედულებებს თანადროული ყოფის ისტორიულ-პოლიტიკური, თუ კულტურული მოვლენების მიმართ.*

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველთა ყოფა ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად არაეთგვაროვან გზას სთავაზობდა კალმოსნებს, რამაც ამ პერიოდის ქართული მწერლობის თემატური თუ ჟანრობრივი მრავალფეროვნება განაპირობა.

აღნიშნული ხანის ეპოქალური პრობლემები შთამბეჭდავად აისახა არა მხოლოდ პოეზიაში, მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში, ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, მემუარებში, დღიურებსა თუ „უბის წიგნაკისეულ" ჩანაწერებში, არამედ ისეთ სახუმარო-სალაღობო ლექსებშიც, ფუნაგორიების სახელითა რომ არის ცნობილი. ასეთი ტიპის ნაწარმოებები, თავისი შინაარსით, სავსებით შესაძლებელია, მარგინალურ კულტურას მივაკუთნოთ.

მეოცე საუკუნის პირველმა ნახევარმა ფართო ასპარეზი გაუხსნა ფუნაგორიებს, როგორც ყველაზე სკაბრეზულ და გესლიან ლექსებს, რომელთა ადრესატები აღნიშნული ეპოქის შემოქმედი მწერლები, პოლიტიკოსები თუ საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

ერთი შეხედვით სალაღობო-სახუმარო ლექსები, რომლებიც თითქოს მხოლოდ ამხანაგთა წრისთვის იყო განკუთვნილი და გართობას ემსახურებოდა, რეალურად იყო მძლავრი იარაღი, რომელიც თავისი მკაცრი კრიტიკულ-მამხილებელი პათოსით არა მარტო ავლენდა ცხოვრების სხვადასხვა მახინჯ მხარეს, არამედ დაუნდობლად ილაშქრებდა მის მიმართ.

ფუნაგორისტებს შორის თავისი განსაკუთრებული პათოსით გამოირჩეოდა ლადო ასათიანი, რომლის ფუნაგორიები, როგორც ნიკა აგიაშვილი დასძენდა „პირდაპირ ნიშანში ხვდებოდა".

ლადო ასათიანის შეუპოვარ ხასიათზე მეტყველებს მისი ფუნაგორიებიც, რომელთა სამიზნეები ხშირ შემთხვევაში პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები იყვნენ, ისინი, ვინც „სოციალიზმის დროს შექმნილ ინტელექტუალური მონობის ინსტიტუტს" წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ძალადობრივი რეჟიმის თანამდევი უამრავი წინააღმდეგობისა, რომელიც მიმართული იყო ყოველგვარი თავისუფალი აზროვნების ჩასახშობად, ლადო ასათიანის ფუნაგორიებმა მძაფრი კრიტიკულ-მამხილებელი ხმით უშუალოდ ასახა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველთა კულტურული ყოფა, გაბედულად ამხილა „საბჭოთა ლიტერატურული კანონების" უსიტყვოდ მორჩილნი, ჩვეული ჰეროიკით საიმედო მომავლის გზაც დასახა.

საკვანძო სიტყვები: ლადო ასათიანი, ფუნაგორია, მარგინალური მასალა

ამა თუ იმ მწერლის სულიერი სამყაროს ნაცნობი თუ უცნობი მხარეები საინტერესოდ აშკარავდება დოკუმენტური ჟანრის სხვადასხვა ტიპის ნაწერებში. განსაკუთრებულ ინტერესს ამ თვალსაზრისით „მარგინალურ მასალად" წოდებული ჩანაწერები იწვევს, რომლებიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე ავლენს მწერლის შეხედულებებს თანადროული ყოფის ისტორიულ-პოლიტიკური, თუ კულტურული მოვლენების მიმართ.

ჩანაწერების, დღიურების, მემუარების, ეპისტოლური მემკვიდრეობის, „უბის წიგნაკების" საშუალებით მკითხველი არკვევს ავტორის იდენტობას, მის პოზიციას ამა თუ იმ პოლიტიკური თუ კულტურული სივრცისადმი.

საარქივო-დოკუმენტურ ჩანაწერებს მეცნიერულ ღირებულებას უფრო მეტად სძენს ის ისტორიულ-პოლიტიკური კატაკლიზმები, რაც მწერლის მოღვაწეობის თანამდევია.

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველთა ყოფა ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად არაეთგვაროვან გზას სთავაზობდა კალმოსნებს, რამაც ამ პერიოდის ქართული მწერლობის თემატური თუ ჟანრობრივი მრავალფეროვნება განაპირობა.

აღნიშნული ხანის ეპოქალური პრობლემები შთამბეჭდავად აისახა არა მხოლოდ პოეზიაში, მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში, ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, მემუარებში, დღიურებსა თუ „უბის წიგნაკისეულ" ჩანაწერებში, არამედ ისეთ სახუმარო-სალაღობო ლექსებშიც, ფუნაგორიების სახელითა რომ არის ცნობილი. ასეთი ტიპის ნაწარმოებები, თავისი შინაარსით, სავსებით შესაძლებელია, მარგინალურ კულტურას მივაკუთნოთ.

როგორც ცნობილია, „მაგინალურად მიიჩნეოდა ანტისაბჭოთა დისკურსი, კერძოდ, მოდერნისტული და ავანგარდისტული, რომელიც იმთავითვე კონცეპტუალურ ანტაგონიზმში აღმოჩნდა ახალბედა საბჭოთა ლიტერატურის იდეოლოგიურ პრინციპებთან"(აგიაშვილი, ნ., 2011:145).

მეოცე საუკუნის პირველმა ნახევარმა ფართო ასპარეზი გაუხსანა ფუნაგორიებს, როგორც ყველაზე სკაბრეზულ და გესლიან ლექსებს, რომელთა ადრესატები აღნიშნული ეპოქის შემოქმედი მწერლები, პოლიტიკოსები თუ საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

2011 წელს ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემული ფუნაგორიების კრებული ფუნაგორიების არსისა და რაობის შესახებ გვამცნობს:

„ფუნაგორია სტილია ამომავალი კლასისა,
ბევრის პერანგი შეღება, ბევრი მწერალი გასრისა
სწრაფია ფუნაგორია, ხელიდან ხელში გადადის,
აკანონებს და ამტკიცებს ლიტერატურულ სინიდისს,
ჟინი სჭირს მწერლუკანების მონიკელებულ ცილინდრის" (აგიაშვილი, ნ., 2011:8).

პირველი ფუნაგორია, როგორც ცნობილია, კოლაუ ნადირაძეს ეკუთვნის, რომელიც პუბლიცისტ პეტრე გელეიშვილს მიუძღვნა, მას, ვინც „მნათობის" ფურცლებზე ცისფრყანწელთა ლიტერატურული ნაღვაწი სასტიკად გააკრიტიკა. მოდერნისტული მწერლობა ხომ, როგორც მეტად საშიში მოვლენა, თავისუფალი იდეოლოგიითა და

არასტანდარტული ლიტერატურული ჟანრებით, მთავარი სამიზნე აღმოჩნდა საბჭოური იდეოლოგიის გამტარებელთათვის. როგორც აკაკი ბაქრაძე მიუთითებს „ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე უწოდებდა ფილიპე მახარაძე „ცისფერ ყანწებს“ დუხჭირ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში და უდიდეს ლიტერატურულ დანაშაულს. ხოლო ახალი თაობის ქართველ მწერლებს ასე ახასიათებდა: ამნაირად გრიშაშვილ-იაშვილების და რობაქიძეების მოვლინება ქართულ ლიტერატურაში მჭიდროდ დაკავშირებულია რეაქციის გამარჯვებასთან; ისინი ბნელი ძალების ღვიძლი შვილებია და ამავე ძალებს ემსახურებიან და გუნდრუკს უკმევენ, მაგრამ იმათი დღესასწაული და ვაკხანალია დიდხანს არ გაგრძელდება. მზე კვლავ ამოვა და ნათელი გაიმარჯვებს; მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან თავისი ბნელი სოროები მოსძებნონ და იქ ჩაძვრენ“(ბაქრაძე, ა., 2019:200).

ერთი შეხედვით სალაღობო-სახუმარო ლექსები, რომლებიც თითქოს მხოლოდ ამხანაგთა წრისთვის იყო განკუთვნილი და გართობას ემსახურებოდა, რეალურად იყო მძლავრი იარაღი, რომელიც თავისი მკაცრი კრიტიკულ-მამხილებებლი პათოსით არა მარტო ავლენდა ცხოვრების სხვადასხვა მახინჯ მხარეს, არამედ დაუნდობლად ილაშქრებდა მის მიმართ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტოტალიტარიზმის მმართველობის ჟამს, ლიტერატურა მალევე იქცა პოლიტიკური დაკვეთების ასპარეზად, სადაც ზოგი ხალისით ასპარეზობდა, ზოგი იძულებით, ზოგი კი ასევთ ასპარეზს საერთოდ გაურბოდა. სწორედ ამ პერიოდში იქმნებოდა ფუნაგორიების მეტად საინტერესო ნიმუშები, როგორც ამ ურთულესი ეპოქის მაჯისცემა.

ფუნაგორისტებს შორის თავისი განსაკუთრებული პათოსით გამოირჩეოდა ლადო ასათიანი, რომლის ფუნაგორიები, როგორც ნიკა აგიაშვილი დასძენდა „პირდაპირ ნიშანში ხვდებოდა“.

ზემოთ აღნიშნულ კრებულში, რომელსაც ნიკა აგიშვილის მიერ შედგენილი ხელნაწერი კრებული დაედო საფუძვლად, ფუნაგორიების უმრავლესობა ლადო ასათიანის ავტორობითაა წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ლადო ასათიანმა საკუთარი ოჯახის მაგალითზე განიცადა საბჭოური, ტოტალიტარული რეჟიმის მსახვრელი ხელი, იგი არავის და არაფერს უშინდებოდა, ყოველთვის ერთგულობდა ეროვნულ მრწამს, „ჭაბუკმა ლადომ თითქმის ერთნაირად გაბოლშევიკებულ მწერლობასაც და თავის გადასარჩენად გაფაციცებულ საზოგადოების უდიდეს ნაწილსაც წარსულის დიდების მონატრებით აღსავსე და უშრეტი ეროვნული ენერგიით დამუხტული ლექსები შესთავაზა. საკვირველია, როგორ გადაურჩა სიკვდილს პოლიტპატიმარი დედის ვაჟი და უდროო დროს მგზნებარე პატრიოტული ლექსების ავტორი“(ასათიანი,ნ., 2016:66).

ლადო ასათიანის შეუპოვარ ხასიათზე მეტყველებს მისი ფუნაგორიებიც, რომელთა სამიზნეები ხშირ შემთხვევაში პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები იყვნენ, ისინი, ვინც „სოციალიზმის დროს შექმნილ ინტელექტუალური მონობის ინსტიტუტს“ წარმოადგენდნენ.

„ალიო თავის მასხარას: აბაშიძიაანთ გრიშასა_

ხან თავში წაუპარტყუნებს, ხან გადაუგდებს ქისასა

მისამღერი: გრიშამ უთხრა ამბერკისა
შენს გაძლევენ ამფერ ქისას?“(აგიაშვილი, ნ., 2011:21)

ლადო ასათიანი თავის ფუნაგორიებში განსაკუთრებით „სწყალობდა“ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრს კალისტრატე ბობოხიძეს, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ „ბობოლებივით მავნე მგოსნებს გაანადგურებს სოციალისტურ მშენებლობის ცხელი ღადარი“.

ალექსი გომიაშვილისადმი მიძღვნილ ფუნაგორიაში ვკითხულობთ:

„ვაჟა ფშაველას გაჰყევი
ვაჟას ღვიას და დეკასო
დღეს ბობოხიძეს მიჰყვები
რა მოგივიდა შე კაცო“(აგიაშვილი, ნ., 2011:20).

საბჭოთა კრიტიკის ხოტბის საგნად ქცეული კალისტრატე ბობოხიძის „ფუყე ლიტერატურული ექსპერიმენტების“ _

„ბრიგადირებო, გეგმაზე მეტი მოგვეცით ნავთი,
ბამბას თუ კანაფს არტელი გვითმობს,
ხორცს და ბეწვეულს, რძის პროდუქტებს მწყემსების ნადი.
სახელოსნოდან კვლავ გუგუნებს ლოკომოტივი,
ისევ გრიალი ცის სივრცეში გააქვს პროპელერს,
ისევ მანქანებს ბენზინი და ზეთი მოტორის
და გამზირიდან ეჯიბრება სივრცე შოფერებს“(ბობოხიძე,ა.,1931:145),_ უშუალო გამოძახილია ლადო ასათიანის ფუნაგორია:

„ამდენი ლექსი რად დაგვაყარე?
ძველი ნაგავი რად არ გვაკმარე?
რად აგვაქოთე, რად აგვამყრალე,
რა დაგიშავეთ ძვირფასო კალე?!
ყარე და ყარე
ლექსები კალე“(აგიაშვილი, ნ., 2011:85).

ლადო ასათიანის ფუნაგორიების უმრავლესობა მიძღვნითი ხასიათისაა, თუმცა ინტერესით იკითხება ის ტექსტები, რომლებიც მწერლის თანადროულ ყოფას ზოგადად ახასიათებს, ერთ-ერთი ასეთია „რჩეული რითმები“, მასში ვკითხულობთ:

„ო, მეგობარო, ო ფილიმონა,
ბედნიერი ხარ, ყოფილი მონა.

ბილიკ-ბილიკ, ხევ და ხევ...
რასაც დასწერ ხრევ და ხევ!

სამკერვალოში ისმოდა:
ეს მოდა მინდა, ის მოდა!“(აგიაშვილი, ნ., 2011:61).

ლადო ასათიანი თავის ფუნაგორიებს, განსხვავებით სხვა ფუნაგორისტებისგან, ენამოსწრებულ სკაბრეზს ჰეროიკულ პათოსსა და უკეთესი მერმისის რწმენასაც სძენს:

„გაივლის ეს დრო და მოვლენ სხვა დროები

გაჰქრებიან ანდროები და სანდროები,
დარჩებიან ლადოები და სანდოები“(აგიაშვილი, ნ., 2011:82).

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „ფუნაგორისტების წერილი II კოლაუ ნადირაძეს, პოეტს და მაესტროს“:

„მტრებს მწარე ფუნაგორიის
ისრებით გავუსწორდებით,
ხელებ გაშლილი მოვდივათ
ისე, ვით ლაუ სორტელი.
ასლი დედანთან სწორია,
პლატონის სულის ცხონებამ
გადაათეთრა ჟაკუნამ
მესხის ქუჩაზე მცხოვრებმა.
ავტორები კი ვინცა ვართ,
შენც კარგად გემახსოვრება“(აგიაშვილი, ნ., 2011:79).

მიუხედავად ძალადობრივი რეჟიმის თანამდევი უამრავი წინააღმდეგობისა, რომელიც მიმართული იყო ყოველგვარი თავისუფალი აზროვნების ჩასახშობად, ლადო ასათიანის ფუნაგორიებმა მძაფრი კრიტიკულ-მამხილებელი ხმით უშუალოდ ასახა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველთა კულტურული ყოფა, გაბედულად ამხილა „საბჭოთა ლიტერატურული კანონების“ უსიტყვოდ მორჩილნი, ჩვეული ჰეროიკით იმედიანი მომავალიც განჭვრიტა. მას ღრმად სწამდა, რომ „სამოციანელთა მსგავსად ჩვენც უნდა ვუცადოთ ვინმე დიდის მოსვლას. ჩვენს ზურგზე გადაივლის ის დალოცვილი, წარუძღვება მთელს მწერლობას: თავს ისახელებს, ჩვენც გვასახელებს, ხალხს ასახელებს. წინასწარ ქედს ვიხრი მის წინაშე!“(ასათიანი, ლ., 1988:123).

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ასათიანი, ლ.(1988), თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
2.ბაქრაძე, ა.(2019), მწერლობის მოთვინიერება, თბილისი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
3.ბობოხიძე, კ.(1931), შემოდგომა, ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“, 8-9, 145;
4.ლადო ასათიანი 100, 2016, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
5.რატიანი, ი.(2018), ქართული მწერლობა და ლიტერატურული პროცესი, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცელმობა;
6.ფუნაგორიები, 2011, თბილისი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

Funagories of Lado Asatyan

Kochloshvili Nino
Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Familiar or unknown sides of the spiritual world of this or that writer are interestingly revealed in different types of writings of the documentary genre. From this point of view, the so-called "marginal material" records, which reveal the writer's views on the historical-political and cultural events of the contemporary existence, without any embellishment, caused special interest.

The presence of Georgians in the first half of the 20th century offered Kalmosians a unique way to preserve their national identity, which led to the thematic and genre diversity of Georgian writing of this period.

The epochal problems of the mentioned age were impressively reflected not only in poetry, artistic-documentary prose, epistolary heritage, memoirs, diaries and "district book" records, but also in such humorous poems known as funagories, which by their content can be attributed to marginal culture.

The first half of the 20th century opened a wide arena for funagories as the most scandalous and funny poems, whose addressees were creative writers, politicians and public figures of the mentioned era.

Seemingly humorous poems, which seemed to be intended only for a circle of friends and served for entertainment, were actually a powerful weapon that showed its harsh critical-revealing pathos and mercilessly attacked various ugly sides of life.

Among the funagorists, Lado Asatiani stood out for his special pathos, whose funagories, as Nika Agiashvili added, "hit the mark".

Lado Asatian's indomitable character is shown by his funagories, whose targets were in many cases the representatives of proletarian literature, those who represented "the institution of intellectual slavery created during socialism".

Despite the many objections accompanying the violent regime, which were aimed at suppressing any free thought, the funagories of Lado Asatiani directly reflected the cultural existence of Georgians in the first half of the twentieth century with a strong critical-revealing voice.

Key words: Lado Asatiani, Funagoria, marginal material.